

დემენციის სამოქმედო გეგმა 2026-2031 (ახალი ზელანდია) - ახალ ზელანდიაში დემენციის მქონე პირების წინაშე არსებული გამოწვევების გადაწყვეტა

ეს სამოქმედო გეგმა ფოკუსირებულია ხუთ მიმართულებაზე, სადაც საჭიროა სასწრაფო და პრაქტიკული ქმედებების განხორციელება ახალ ზელანდიაში დემენციის გამოწვევის საპასუხოდ.

ხედვა

დემენციის პრევენცია მაქსიმალურად ხორციელდება და დემენციით დაავადებული ადამიანები, მათი ოჯახები და ახლო ნათესავები (whānau) იღებენ საჭირო დახმარებასა და მხარდაჭერას.

მიზანი

დემენციით დაავადებული ადამიანების, მათი ოჯახებისა და ახლო ნათესავების (whānau) კეთილდღეობის გაუმჯობესება და დემენციით ზემოქმედების შემცირება.

ამოცანები

ამ სამოქმედო გეგმის ამოცანებია:

- მთავრობისა და ჯანდაცვის სისტემისთვის მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში მოქმედების გზის (გზამკვლევის) შექმნა
- წვდომის ბარიერების გამოაშკარავება
- ჯანდაცვის სისტემის ქმედებებისა და ინვესტიციების ფოკუსირება კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პრიორიტეტებზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს დემენციით დაავადებული ადამიანების, მათი ოჯახებისა და ახლო ნათესავებისდ ცხოვრებაზე, ასევე ჯანდაცვის სისტემაზე
- ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროს პირველადი, საზოგადოებრივი, სპეციალიზებული და საავადმყოფოს სამსახურები შეძლებენ ერთად იმუშაონ ერთი და იგივე მიზნების მისაღწევად
- გადაწყვეტილების მიმღებ პირებს პასუხისმგებლობა დაეკისროს ამ პრიორიტეტების პროგრესის მისაღწევად.

პირველი სამოქმედო გეგმა საბოლოოდ დამტკიცდა და მთავრობას 2020 წლის მაისში წარედგინა, ხოლო ერთი წლის შემდეგ განახლდა კაუპაპა მაორისა და თანასწორობის

დებულებების გასაძლიერებლად. 2022 წლის ბიუჯეტში მთავრობამ ოთხი წლის განმავლობაში 12 მილიონი აშშ დოლარი გამოყო:

- დემენციის პროგრამული უზრუნველყოფის ქსელისა და ლიდერობისა და საკონსულტაციო ჯგუფის („ეკოსისტემა“) შემუშავება სამოქმედო გეგმის განხორციელების ზედამხედველობის მიზნით და
- საპილოტე პროექტების შემუშავება, რომელიც მოიცავს ნავიგაციის, მხარდაჭერისა და დროებითი მომსახურების სერვისებს დემენციის მქონე პირებისათვის სახლის პირობებში და მათი ოჯახებისა და ოჯახის წევრებისთვის.

ეკოსისტემის შეფასება და საპილოტე ინიციატივები დაიწყო 2025 წელს და მოსალოდნელია, რომ ეს გახდება საფუძველი მომავალი განვითარებისათვის.

გეგმის პრიორიტეტული ქმედებები

1. ტვინის ჯანმრთელობის ხელშეწყობის ზომების მიღება

ა. ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობები მიიღებენ გადაწყვეტილებებს, რომელიც ხელს შეუწყობს უფრო ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას შემდეგი გზით:

- ტვინის ცუდი ჯანმრთელობის ძირითადი სოციალური მამოძრავებელი ფაქტორების შემცირებით, რაც გაუადვილებს ადამიანებს, ოჯახებსა და ახლო ნათესავებს ჯანსაღი არჩევანის გაკეთებას.
- მხარს დაუჭერს ინიციატივებს, რომელიც ხელს უწყობს ტვინის ჯანმრთელობის გაგებას.

ბ. გაძლიერდება ჯანდაცვის სერვისები და საზოგადოების შესაძლებლობები რათა მოხდეს ინდივიდებისა და ოჯახების ინფორმირება და მოტივირება ტვინისთვის ჯანსაღი არჩევანის გასაკეთებლად:

- ადამიანებისთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოდიფიცირებადი რისკ-ფაქტორებზე აქცენტით.
- მორგებული გადაწყვეტილებებით, რომელიც აკმაყოფილებს სხვადასხვა პოპულაციის საჭიროებებს.

2. დროული და ზუსტი დიაგნოზი და ყოვლისმომცველი მართვის დაგეგმვა.

პირველადი ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი სერვისები მხარდაჭერილია მთავრობისა და ჯანდაცვის სააგენტოების მიერ:

ა. დემენციის პირველადი ჯანდაცვის სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციების განხორციელება. დემენციის დიაგნოზი და მართვა პირველადი ჯანდაცვის რუტინული პრაქტიკის ნაწილია.

ბ. ეროვნული კოგნიტური დარღვევის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გზების თანმიმდევრული გამოყენების ხელშეწყობით.

გ. სიცოცხლისუნარიანი პირველადი ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი სექტორის, მათ შორის ხანდაზმულთა საცხოვრებელი მოვლის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. გაუმჯობესებული საზოგადოებრივი მხარდაჭერა დემენციით დაავადებული ადამიანების მხარდასაჭერად

ა. ოჯახების და მომვლელების წვლილი აღიარებული და მხარდაჭერილი იქნება, მათ ექნებათ წვდომა დროებითი დახმარების შესაძლებლობებზე და მათი ფინანსური სტატუსი უკეთ იქნება დაცული.

ბ. ხელმისაწვდომი იქნება შესატყვისი, სანდო, კულტურულად შესაბამისი ინფორმაცია, მათ შორის, აქცენტი გაკეთდება მზრუნველი პარტნიორების მომზადებაზე მათი როლისათვის.

გ. დემენციით დაავადებულ ადამიანებს, მათ ოჯახებსა და ახლო ნათესავებს ექნებათ წვდომა კულტურულად შესაბამის დემენციის საზოგადოებრივი სერვისებისადმი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მათი საჭიროებების შესაბამისად მოქნილ და მუდმივი მხარდაჭერის ფონზე ეს სერვისები დაეხმარება ადამიანებს ფუნქციონირების ადაპტირებაში და შენარჩუნებაში რაც შეიძლება დიდხანს და შესაბამისად ცხოვრების გაუმჯობესებაში.

დ. ყველაზე მცირე სტანდარტს უნდა წარმოადგენდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, პიროვნებაზე და ოჯახზე ორიენტირებული, მულტიმოდალური (მრავალი ტიპის მხარდაჭერის გამოყენებით) საზოგადოებრივი სერვისები.

4. ფორმალური და არაფორმალური სამუშაო ძალების მხარდაჭერილია.

ა. საუკეთესო პრაქტიკული ინფორმაცია და წვრთნა-ტრენინგი ხელმისაწვდომი იქნება ყველა ჯანდაცვის მუშაკისთვის, რომელიც მუშაობს დემენციის მქონე ადამიანებთან.

ბ. შემუშავდება და განხორციელდება დემენციის პროგრამა.

გ. შემუშავდება და დაინერგება აკრედიტებული სწავლების გზები, რათა დაეხმაროს დემენციის მქონე პირებს, მათ ოჯახებს და ახლო ნათესავებს, რომლებსაც სურთ თავისი გამოცდილების აღიარება.

5. ეფექტური მმართველობა

ა. ეროვნული დემენციის პროგრამის ხელმძღვანელობა და ქსელი სტრუქტურირდება და აღიჭურვება ეროვნულ დონეზე სამოქმედო გეგმის (Action Plan) მიზნების მიღწევის მხარდასაჭერად. ეს მოიცავს მრავალდარგოვან ექსპერტთა მმართველობას, ოჯახებისა და საზოგადოების მხრიდან ხმის მიწოდებას და დემენციის მქონე ადამიანების მონაწილეობას.

ბ. სამოქმედო გეგმის მიზნების მიღწევის პროგრესის შესაფასებლად შემუშავდება, შემოწმდება და დამტკიცდება შედეგების გამსაზღვრელი მაჩვენებლები.

გ. მთელი ქვეყნის მასშტაბით დემენციის შესახებ მონაცემთა შეგროვებისა და გაზიარების მიზნით შემუშავდება ეროვნული გეგმა, რომელიც შეაფასებს წინსვლას, გამოავლენს უთანასწორობას და დაგეგმავს მომსახურების გაუმჯობესებას.

თარგმანი - დავით გიგინეიშვილის

ახალ ზელანდიაში, whānau (გაფართოებული ოჯახი - ახლო ნათესავები) ცენტრალურ, ხშირად პირველად როლს ასრულებს დემენციის მქონე ადამიანების მოვლაში, სცილდება „მზრუნველის“ ტრადიციულ დასავლურ განმარტებებს და უზრუნველყოფს ჰოლისტიურ, ურთიერთობებზე დაფუძნებულ დამხმარე სისტემას. ისინი აღიარებულნი არიან მოვლის მთავარ პარტნიორებად, რომელთა მიზანია საყვარელი ადამიანების mana (ღირსების) და wairua (სულის) შენარჩუნება.

ახალ ზელანდიაში ახლო ნათესავები ჩართულნი არიან შემდეგი გზებით:

1. ყოველდღიური მოვლა და მხარდაჭერა

სახლში მოვლის უზრუნველყოფა: ახლო ნათესავები ხშირად მოქმედებენ როგორც მთავარი მომვლელი (ცხადია ანაზღაურების გარეშე), რაც მათ საყვარელ ადამიანებს საშუალებას აძლევს, რაც შეიძლება დიდხანს დარჩნენ საკუთარ სახლებში.

პირადი მოვლა და უსაფრთხოება: ეს მოიცავს დახმარებას დაბანაში, ჩაცმაში, მედიკამენტების მართვაში და უსაფრთხოების მონიტორინგში (მაგ., მართვის ან ხეტიალის რისკების მართვა).

ამოცანები ყოველდღიური დამხმარებისათვის: ისინი (ახლო ნათესავები) უზრუნველყოფენ პრაქტიკულ დახმარებას, მათ შორის საჭმლის მომზადებას, დასუფთავებას და საყიდლებზე გასვლას.

კავშირის შენარჩუნება: ახლო ნათესავი ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთქმედებას და საზოგადოებაში ჩართულობას იზოლაციის თავიდან ასაცილებლად.

2. კულტურული და სულიერი როლი (Te Ao Māori)

ცოდნის მფლობელები: ვანაუ იყენებს ადამიანის ღრმა, ინტიმურ ცოდნას - მისი ცხოვრების ისტორიას, პრეფერენციებსა და ღირებულებებს - პერსონალიზებული მზრუნველობის უზრუნველსაყოფად.

კავშირის მქონელები: ისინი უზრუნველყოფენ, რომ ადამიანი დარჩეს კავშირში თავის კულტურასთან და საზოგადოებასთან, რაც გადამწყვეტია wairua და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

თარგმანი - დავით გიგინეიშვილის